ლენტეხის მუნიციპალიტეტში ხიდების რეაბილიტაცია და მშენებლობა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ

დეკემბერი, **2015**

გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვე-პროექტის ობიექტი მდებარეობს ჩრდილოეთ საქართველოში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, თბილისიდან 350 კმ-ში.

ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია:

1. სოფელ ტვიბში საავტომობილო ხიდის (24 მ) მშენებლობა მდ. მუხრაზე;
2. სოფელი მამიდან ედიყის მიმართულებით არსებული გრუნტის გზაზე საავტომობილო ხიდის (12 მ) მოწყობა ხევზე;
3. სოფელ ჭველფში მდ. ჭველფის ღელეზე საავტომობილო ხიდის (24 მ) მშენებლობა;
4. სოფელ დურაშში მდ. ჩონშურაზე არსებული საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია;
5. დაბა ლენტეხში ქუჩების კეთილმოწყობა;
6. სოფელ ხელედში შიდა საუბნო გზებზე საყრდენი კედლების მოწყობა/რეაბილიტაცია.

ქვე-პროექტის ფარგლებში მოხდება შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

1. **სოფელ ტვიბში საავტომობილო ხიდის მშენებლობა მდ. მუხრაზე** - ქვე-პროექტით გათვალისწინებულია ინდივიდუალური ლითონის ერთმალიანი 24 მეტრიანი და 4,5 მ სიგანის საავტომობილო ხიდის მშენებლობა. მდინარის კალაპოტის სიგანე სახიდე გადასასვლელთან არის 26-28 მეტრი. ხიდის სავალი ნაწილის ნიშნულია - 1015,60 მ, ხიდის მალის ქვედა ნიშნულია - 1014,56 მ, ხოლო წყლის მაქსიმალური დონის ნიშნული (ასწლიანი განმეორადობით) – 1013,50 მ. ხიდის ბურჯები იდგმება მდინარის კალაპოტის კიდეზე. ხიდის ორივე მხარეს კეთდება გრუნტის მისასვლელები. ორივე ბურჯის წყლისგან დასაცავად ეწყობა ქვის გაბიონები. ხიდის სავალი ნაწილი მოეწყობა ბეტონის ფილებით და ასფალტის ფენით. ხიდის მშენებლობა არ მოითხოვს მდინარის მიმართულების დროებით ცვლილებას.

2. **სოფელი მამიდან სოფელ ედიყის მიმართულებით საავტომობილო ხიდის მოწყობა** - ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული გრუნტის გზის დასაწყისში ხევზე ლითონის ხიდის (12 მ, გაბარიტი 3,5 მ) და მისასვლელების მოწყობას. ხიდის სავალი ნაწილის ნიშნულია - 1057,72 მ, ხოლო წყლის მაქსიმალური დონის ნიშნული (ასწლიანი განმეორადობით) – 1054,82 მ. ბურჯები მოეწყობა ღელის ფერდობებზე. ხიდის სავალ ნაწილზე დაიგება რკინა-ბეტონის ფილები და მოეწყობა ასფალტის ფენა. ხიდის მშენებლობა არ მოითხოვს მდინარის მიმართულების დროებით ცვლილებას.

3. **სოფელ ჭველფში საავტომობილო ხიდის მოწყობა** - ქვე-პროექტით გათვალისწინებულია ინდივიდუალური ლითონის 24 მეტრიანი ერთმალიანი საავტომობილო ხიდის მშენებლობა მდინარე ჭველფის ღელეზე. მდინარის კალაპოტის სიგანე სახიდე გადასასვლელთან 24 მ. მდინარის ჭალის სიგანე 32-34 მ. ხიდის სავალი ნაწილის ნიშნულია - 1151,98 მ, ხოლო წყლის მაქსიმალური დონის ნიშნული (ასწლიანი განმეორადობით) – 1149,58 მ. ხიდის ღერძი არჩეულია ოპტიმალურად ხევის ორივე მხარეს არსებულ გზებთან დაკავშირებისთვის. ბურჯები იდგმება მდინარის კალაპოტის კიდეზე. ხიდის ორივე მხარეს კეთდება გრუნტის მისასვლელები. ორივე ბურჯის წყლისგან დასაცავად ეწყობა ქვის გაბიონები. ხიდის სავალი ნაწილი

მოპირკეთდება რკინა-ბეტონის ფილებითა და ასფალტის ფენით. ხიდის მშენებლობა არ მოითხოვს მდინარის მიმართულების დროებით ცვლილებას.

4. **საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია სოფელ დურაშში** - ქვე-პროექტის ფარგლებში მოხდება მდ. ჩონშურაზე ამჟამად არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია. არსებული ხიდის სიგრძეა 20.5 მეტრი, გაბარიტი - 4.0 მ. დაგეგმილი სამუშაოები ითვალისწინებს არსებული ბურჯების ჩასმას ბეტონის პერანგში და ხიდის სავალი ნაწილის შეცვლას რკინა/ბეტონის ფილებით. მოხდება ხიდის ხის სავალი ნაწილის და მოაჯირების დემონტაჟი და მოეწყობა ლითონის მოაჯირები და თვალამრიდები, რომლებიც შეიღებება ემალის საღებავით.

5. **დაბა ლენტეხის ქუჩების კეთილმოწყობა**

ქვე-პროექტის ეს კომპონენტი ითვალისწინებს:

- ტერიტორიის კეთილმოწყობას მინერალური წყაროების გარშემო, რომელიც მდებარეობს დაბა ლენტეხიდან 500 მეტრში მდ. ლაკსადურას გასწვრივ. აღნიშნული ტერიტორია 3462 მ^2 ფართობით წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. ქვე-პროექტი ითვალისწინებს მინერალური წყაროს ქვის კედლის რეაბილიტაციას, დასასვენებელი სკამებისა და საპირფარეშოების მოწყობასა და ტერიტორიის მოსწორებას. საპირფარეშოსთვის წყლის მიწოდება მოხდება 100 მეტრით დაშორებული წყალმომარაგების სისტემიდან. საპირფარეშოს დასუფთავება მოხდება პერიოდულად სანიტარული მანქანის მეშვეობით. მოვლა-პატრონობის ხარჯები დაიფარება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის (გამგეობის) მიერ (იხ. თანდართული წერილი);
- ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობიდან მდ. ცხენისწყლის პირამდე არსებული ცენტრალური სანიაღვრე ბეტონის არხის რეაბილიტაცია (გაწმენდა, ამორტიზირებული მონაკვეთებს აღდგენა ბეტონით, ცხაურების მოწყობა);
- ეკლესიის წინ და გვერდებზე დეკორატიული ღობის მოწყობა (L-60 მ, ბეტონის ცოკოლზე);
- თამარ მეფის ქუჩაზე დეკორატიული ღობეების(L-50+70+80 მ), ტროტუარის (12X3.0=42.0მ^2) და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა;
- სანიაღვრე არხის მოწყობა გოგებაშვილის ქუჩაზე (L-18მ);
- ხერგიანის ქუჩაზე ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა (L-12მ. h-2მ);
- ზედა ლეგსურის ქუჩაზე ბეტონის შპალების შევსება ქვიშით და მისაყრელი გვერდულების მოწყობა;
- დაბის ცენტრალურ ქუჩაზე 3 ვიდეო თვალის მოწყობა.

6. **სოფელ ხელედში შიდა საუბნო გზების ზედა და ქვედა საყრდენი კედლების რეაბილიტაცია** - ქვე-პროექტის ეს კომპონენტი ითვალისწინებს სოფელ ხელედში სკოლასთან გზის დადაბლებული ადგილის ამაღლებას და საყრდენი კედლის მოწყობას, სკოლის ეზოს დატბორვის აცილების მიზნით, ასევე ბეტონის საყრდენი კედლების მოწყობას სოფლის შიდა გზებზე (ბეტონის კედლების სიმაღლე იქნება 1-2 მეტრი, ჯამური სიგრძე - 145 მ.), რომლის თავზე მოეწყობა მავთულის ბადე. სამუშაოები მოიცავს არსებული ყორე-ბეტონის ან ხის ღობეების დემონტაჟს.

ა) ზემოქმედების დადგენა

აქვს თუ არა ქვე-პროექტს რაიმე ტიპის მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?	მოსალოდნელია, რომ ქვე-პროექტს მოკლევადიანი ნეგატიური და გრძელვადიანი პოზიტიური გავლენა ექნება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.
რა მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედება ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	ბუნებრივ გარემოზე მოსალოდნელია შემდეგი სახის უარყოფითი ზემოქმედება მშენებლობის ფაზის განმავლობაში: მცენარეული საფარის და ნიადაგის დაზიანება; სამშენებლო სამუშაოებით და ტექნიკით წარმოქმნილი მტვერი და ხმაური; წყლის დაბინძურება სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, სამშენებლო უბნებიდან ჩამოდენილი დაბინძურებული წყლებით; გარემოს დაბინძურება წარმოქმნილი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 3 ახალი ხიდის მშენებლობა და ერთი არსებული ხიდის რეაბილიტაცია, შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში არსებობს ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი. ზედაპირული წყლების ხარისხის გაუარესება შეიძლება გამოიწვიოს ნარჩენების არასწორმა მართვამ და საწვავის/ზეთების შემთხვევითმა დაღვრამ. ასევე, მდინარის კალაპოტის მახლობლად სამუშაოების წარმოებამ შესაძლოა გამოიწვიოს წყლის კიდევ უფრო მეტად ამღვრევა. სამუშაოების წარმოება მოხდება რთული რელიეფისა და კლიმატის პირობებში, რაც გაზრდის მუშახელის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს. მდინარეები, რომლებზეც ხდება ხიდების მშენებლობა, ხასიათდება ნიაღვრებით, რომელთა ფორმირება მოსალოდნელია თავსხმა წვიმის დროს. სათანადო შემარბილებელი და მართვის ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელია აღნიშნული პოტენციური ზემოქმედება უმნიშვნელო დონემდე შემცირდეს ან ნაწილობრივ თავიდან იქნას აცილებული. ახალი ხიდების მშენებლობა მნიშვნელოვნად არ შეცვლის არსებულ ლანდშაფტს და არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ვიზუალურ ცვლილებებს.

	ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების მიმდებარე ტერიტორიებზე არ ფიქსირდება ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებობა. ქვე-პროექტი დადებით ზემოქმედებას იქონიებს ბუნებრივ გარემოზე, მტვრის, ხმაურისა და ემისიების შემცირებით.
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	ქვე-პროექტს მოსალოდნელია, რომ ექნება ხანგრძლივი პოზიტიური გავლენა ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ და სატრანსპორტო პირობებზე. რაც შეამცირებს არსებულ ისეთ ნეგატიურ გავლენას, როგორიცაა: მტვერი, ემისიები, ვიბრაცია და ხმაური. ქვე-პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორების გადაადგილების უსაფრთხოება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალმთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი რთული რელიეფის, კლიმატისა და სტიქიური მოვლენების მაღალის რისკის პირობებში. დღეისათვის, ხიდების არ არსებობის ან მოუწესრიგებლობის გამო ტრანსპორტირება მნიშვნელოვნად გართულებულია და ხშირად შეუძლებელი, განსაკუთრებით ცუდი ამინდის პირობებში. ხელედში საყრდენი კედლების მოწყობა შეამცირებს საჯარო სკოლისა და მოსახლეობის ეზოების დატბორვის საფრთხეს. ლენტეხში ქუჩების კეთილმოწყობა გაზრდის მის ტურისტულ მიმზიდველობას. ქვე-პროექტი შექმნის ადგილობრივი მუშა-ხელის მოკლევადიანი დასაქმების შესაძლებლობას. მიწის შესყიდვისა და ტერიტორიიდან განსახლების სამუშაოები არ არის მოსალოდნელი. უარყოფითი გავლენა არის მოკლე ვადიანი და შეზღუდული და უკავშირდება ზემო აღნიშნულ შემაწუხებელ გარემოებებთან.

(ბ) შემარბილებელი ღონისძიებები

რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას?	ახალი ხიდის გადამკვეთი ღერძები შერჩეულია იმგვარად, რომ ყველაზე კარგად უზრუნველყოს ხეობის ორივე მხარის დაკავშირება. მიღებული გადაწყვეტილება ეყრდნობა ინჟინრულ-გეოლოგიურ და ჰიდროლოგიურ კვლევას. ქვის გაბიონები მოეწყობა ხეობის ორივე მხარის წყლის ნაკადისგან დასაცავად.
რა ტიპის შემამსუბუქებელი ზომებია შემოთავაზებული?	ქვე-პროექტისთვის შემუშავებული იქნა შემარბილებელი ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია პოტენციური ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილება ან მინიმუმამდე შემცირება. კონტრაქტორი ვალდებულია ნარჩენები განათავსოს წინასწარ შეთანხმებულ ადგილას, ლიცენზირებული კარიერებიდან მშენებლობისას გამოიყენოს ის მასალები, რომელებიც მოწოდებული იქნება ლიცენზიის მქონე ქარხნებიდან, კარიერებიდან და მაღაროებიდან. თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (მანქანა -დანადგარების დაზიანების შედეგად დაღვრილი საწვავით, ასფალტ/ბეტონით), მინიმუმამდე დაიყვანოს განრიგის შესაბამისად მუშაობით, სატრანსპორტო მოძრაობის სწორი მენეჯმენტით, სამშენებლო მანქანა-დანადგარების სწორი მოვლა-პატრონობით ადგილობრივი მოსახლეობის შემაწუხებელი ფაქტორების არსებობა (ხმაური, მტვერი, ემისიები). მშენებლობის პერიოდში ნიადაგის მოხსნა საჭირო იქნება მხოლოდ სოფელ ტვიბსა და ჭელეშში საავტომობილო ხიდების მშენებლობისათვის სამშენებლო მოედნის მოწყობისას. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ნიადაგის საფარი იქნება მოხსნილი და დასაწყობებული გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმაში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად. სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოხდება სამშენებლო ბაზის დემონტაჟი და ტერიტორიის ჰარმონიზაცია გარემოსთან. გამომდინარე იქედან, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს რთულ გეოგრაფიულ ადგილას, კონტრაქტორმა უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. ხიდების სამშენებლო და სარეაბილიტაციოა სამუშაოების ჩატარებისთვის შეირჩევა წელიწადი იმ მონაკვეთი, როცა ღვარცოფული ნაკადების განვითარების რისკი დაბალია (ზაფხული,

	შემოდგომის დასაწყისი). აიკრძალება ტექნიკის და სატრანსპორტო საშულებების და სამშენებლო ბაზის განლაგება მდინარეების კალაპოტების სიახლოვეს. მშენებლობაზე დაშვებული იქნება მხოლოდ ის პირები, რომელთაც ჩაუტარდებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი სამუშაოების შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებში. პერსონალი აღჭურვილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. უნდა არსებობდეს მუდმივი კომუნიკაცია შესაბამის უწყებებთან ამინდის მოსალოდნელი გაუარესების შესახებ დროული შეტყობინების მიღების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამშენებლო სამუშაოების დროს მდინარეების წყლის დაბინძურების თავიდან აცილებას/ შერბილებას ისეთის ღონისძიებების გატარების გზით, როგორიცაა მდინარეების კალაპოტში ნებისმიერის სახის ნარჩენის განთავსების აკრძალვა, მანქანა-მექანიზმების რეგულარული შემოწმება, რათა არ მოხდეს საწვავის ან საპოხი მასალის გაჟონვა. მანქანების ტექნიკური მომსახურება, შეკეთება, რეცხვა, საცხის მოშორება შესაძლებელია სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, შესაბამისი საფარით და საწრეტით. სამშენებლო მოედანი, სადაც მოხდება მანქანების ტექნიკური მომსახურება უნდა განთავსდეს მდინარის კალაპოტიდან 50 მეტრში, სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ მშრალ ამინდში, ჩამონადენის თავიდან ასაცილებლად. ყველა მომუშავეს მკაცრად უნდა აეკრძალება მცენარეული მასალების მოპოვება, ნარჩენების გადაყრა ან სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს მიმდებარე ლანდშაფტს. კონტრაქტორს მოეთხოვება განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები სოფელ ხელედში სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების დროს მოსწავლეებისა და მასწავლებლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და, რათა, ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. ამ მიზნით, სამშენებლო ადგილები უნდა იქნეს შეღობილი და შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებული.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს გზებისა და ქუჩების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საშუალო და დიდი ზომის ქვე-პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება, რომლებიც ხორციელდება დონორი

	ორგანიზაციების მხარდაჭერით. ახალი ხიდების დაპროექტებამდე განხორციელდა გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები. ხიდები დაპროექტდა წყლის მაქსიმალური ხარჯის გათვალისწინებით.
ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?	ქვე-პროექტი განხორციელების იდეა ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კონსულტაციების შედეგად და ამჟამად არსებული სიტუაციის გათვალისწინების გზით. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტი სარეაბილიტაციო საქმიანობის დაწყებამდე გამართავს საკონსულტაციო შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან.

(C) კატეგორიზაცია

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციის OP/BP 4.01 შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირებული იქნა როგორც კატეგორია B და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის.

სოციალური სკრინინგი

	ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის	დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) ?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?	✓	
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			

ქვე-პროექტის ფარგლებში მოხდება კერძო საკუთრებაში არსებული ეზოების გასწვრივ არსებული ყორე-ბეტონის ან ხის ღობეების დემონტაჟი და ახალი ბეტონის საყრდენი კედლების მოწყობა, რაც შეთანხმებულია მესაკუთრეებთან.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
ქვე-პროექტის დასახელება	ლენტეხის მუნიციპალიტეტში ხიდების რეაბილიტაცია და მშენებლობა
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია: 1. სოფელ ტვიბში საავტომობილო ხიდის (24 მ) მშენებლობა მდ. მუხრაზე; 2. სოფელი მამიდან ედიყის მიმართულებით არსებული გრუნტის გზაზე საავტომობილო ხიდის (12 მ) მოწყობა ხევზე; 3. სოფელ ჭველფში მდ. ჭველფის ღელეზე საავტომობილო ხიდის (24 მ) მშენებლობა; 4. სოფელ დურაშში მდ. ჩონშურაზე არსებული საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია; 5. დაბა ლენტეხში ქუჩების კეთილმოწყობა; 6. სოფელ ხელედში შიდა საუბნო გზებზე საყრდენი კედლების მოწყობა/რეაბილიტაცია. ქვე-პროექტის ფარგლებში მოხდება შემდეგი სამუშაოების განხორციელება: **1. სოფელ ტვიბში საავტომობილო ხიდის მშენებლობა მდ. მუხრაზე** - ქვე-პროექტით გათვალისწინებულია ინდივიდუალური ლითონის ერთმალიანი 24 მეტრიანი და 4,5 მ სიგანის საავტომობილო ხიდის მშენებლობა. მდინარის კალაპოტის სიგანე სახიდე გადასასვლელთან არის 26-28 მეტრი. ხიდის სავალი ნაწილის ნიშნულია - 1015,60 მ, ხიდის მალის ქვედა ნიშნულია - 1014,56 მ, ხოლო წყლის მაქსიმალური დონის ნიშნული (ასწლიანი განმეორადობით) – 1013,50 მ. ხიდის ბურჯები იდგმება მდინარის კალაპოტის კიდეზე. ხიდის

	ორივე მხარეს კეთდება გრუნტის მისასვლელები. ორივე ბურჯის წყლისგან დასაცავად ეწყობა ქვის გაბიონები. ხიდის სავალი ნაწილი მოეწყობა ბეტონის ფილებით და ასფალტის ფენით. ხიდის მშენებლობა არ მოითხოვს მდინარის მიმართულების დროებით ცვლილებას. **2. სოფელი მამიდან სოფელ ედიყის მიმართულებით საავტომობილო ხიდის მოწყობა -** ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული გრუნტის გზის დასაწყისში ხევზე ლითონის ხიდის (12 მ, გაბარიტი 3,5 მ) და მისასვლელების მოწყობას. ხიდის სავალი ნაწილის ნიშნულია - 1057,72 მ, ხოლო წყლის მაქსიმალური დონის ნიშნული (ასწლიანი განმეორადობით) – 1054,82 მ. ბურჯები მოეწყობა ღელის ფერდობებზე. ხიდის სავალ ნაწილზე დაიგება რკინა-ბეტონის ფილები და მოეწყობა ასფალტის ფენა. ხიდის მშენებლობა არ მოითხოვს მდინარის მიმართულების დროებით ცვლილებას. **3. სოფელ ჭველფეში საავტომობილო ხიდის მოწყობა -** ქვე-პროექტით გათვალისწინებულია ინდივიდუალური ლითონის 24 მეტრიანი ერთმალიანი საავტომობილო ხიდის მშენებლობა მდინარე ჭველფის ღელეზე. მდინარის კალაპოტის სიგანე სახიდე გადასასვლელთან 24 მ. მდინარის ჭალის სიგანე 32-34 მ. ხიდის სავალი ნაწილის ნიშნულია - 1151,98 მ, ხოლო წყლის მაქსიმალური დონის ნიშნული (ასწლიანი განმეორადობით) – 1149,58 მ. ხიდის ღერძი არჩეულია ოპტიმალურად ხევის ორივე მხარეს არსებულ გზებთან დაკავშირებისთვის. ბურჯები იდგმება მდინარის კალაპოტის კიდეზე. ხიდის ორივე მხარეს კეთდება გრუნტის მისასვლელები. ორივე ბურჯის წყლისგან დასაცავად ეწყობა ქვის გაბიონები. ხიდის სავალი ნაწილი მოპირკეთდება რკინა-ბეტონის ფილებითა და ასფალტის ფენით.

	ხიდის მშენებლობა არ მოითხოვს მდინარის მიმართულების დროებით ცვლილებას. **4. საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია სოფელ დურაშში** - ქვე-პროექტის ფარგლებში მოხდება მდ. ჩონშურაზე ამჟამად არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია. არსებული ხიდის სიგრძეა 20.5 მეტრი, გაბარიტი - 4.0 მ. დაგეგმილი სამუშაოები ითვალისწინებს არსებული ბურჯების ჩასმას ბეტონის პერანგში და ხიდის სავალი ნაწილის შეცვლას რკინა/ბეტონის ფილებით. მოხდება ხიდის ხის სავალი ნაწილის და მოაჯირების დემონტაჟი და მოეწყობა ლითონის მოაჯირები და თვალამრიდები, რომლებიც შეიღებება ემალის საღებავით. **5. დაბა ლენტეხის ქუჩების კეთილმოწყობა** ქვე-პროექტის ეს კომპონენტი ითვალისწინებს: - ტერიტორიის კეთილმოწყობას მინერალური წყაროების გარშემო, რომელიც მდებარეობს დაბა ლენტეხიდან 500 მეტრში მდ. ლაკსადურას გასწვრივ. აღნიშნული ტერიტორია 3462 $მ^2$ ფართობით წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. ქვე-პროექტი ითვალისწინებს მინერალური წყაროს ქვის კედლის რეაბილიტაციას, დასასვენებელი სკამებისა და საპირფარეშოების მოწყობასა და ტერიტორიის მოსწორებას. საპირფარეშოსთვის წყლის მიწოდება მოხდება 100 მეტრით დაშორებული წყალმომარაგების სისტემიდან. საპირფარეშოს დასუფთავება მოხდება პერიოდულად სანიტარული მანქანის მეშვეობით. მოვლა-პატრონობის ხარჯები დაიფარება მუნიციპალიტეტის

	ადმინისტრაციის (გამგეობის) მიერ (იხ. თანდართული წერილი); - ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობიდან მდ. ცხენისწყლის პირამდე არსებული ცენტრალური სანიაღვრე ბეტონის არხის რეაბილიტაცია (გაწმენდა, ამორტიზირებული მონაკვეთებს აღდგენა ბეტონით, ცხაურების მოწყობა); - ეკლესიის წინ და გვერდებზე დეკორატიული ღობის მოწყობა (L-60 მ, ბეტონის ცოკოლზე); - თამარ მეფის ქუჩაზე დეკორატიული ღობეების(L-50+70+80 მ), ტროტუარის (12X3.0=42.0მ^2) და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა; - სანიაღვრე არხის მოწყობა გოგებაშვილის ქუჩაზე (L-18მ); - ხერგიანის ქუჩაზე ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა (L-12მ. h-2მ); - ზედა ლეგსურის ქუჩაზე ბეტონის შპალების შევსება ქვიშით და მისაყრელი გვერდულების მოწყობა; - დაბის ცენტრალურ ქუჩაზე 3 ვიდეო თვალის მოწყობა. **6. სოფელ ხელედში შიდა საუბნო გზების ზედა და ქვედა საყრდენი კედლების რეაბილიტაცია -** ქვე-პროექტის ეს კომპონენტი ითვალისწინებს სოფელ ხელედში სკოლასთან გზის დადაბლებული ადგილის ამაღლებას და საყრდენი კედლის მოწყობას, სკოლის ეზოს დატბორვის აცილების მიზნით, ასევე ბეტონის საყრდენი კედლების მოწყობას სოფლის შიდა გზებზე (ბეტონის კედლების სიმაღლე იქნება 1-2 მეტრი, ჯამური სიგრძე - 145 მ.), რომლის თავზე მოეწყობა მავთულის ბადე. სამუშაოები მოიცავს არსებული ყორე-ბეტონის ან ხის ღობეების დემონტაჟს.	
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი:: აჰმედ აივეიდა ჯგუფის თანახელმძღვანელი: შაოლან ვანგი	უსაფრთხოების სპეციალისტი: დარეჯან კაპანაძე

განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	**განმახორციელებელი ერთეული:** მუნიციპალური განვითარების ფონდი	Works supervisor: (tbd)	Works contractor: (tbd)
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ლენტეხის მუნიციპალიტეტი		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ლენტეხი, თამარ მეფის ქ. №24.		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	მუნიციპალიტეტის საკუთრება		
ტერიტორიის ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი	ლენტეხის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 1344 კვ.კმ., მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 440 კმ^2. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მთიანი, ჭარბობს საშუალო და მაღალმთიანი რელიეფი. მუნიციპალიტეტი შემოფარგლულია სვანეთის, ლეჩხუმისა და ეგრისის ქედებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე ცხენისწყალი (მდინარის სიგრძე - 9176 კმ, წყალშემკრები აუზის ფართობი - 2120 კმ^2) და მისი შენაკადები: ხელედულა, ლასკადურა, ზესხო, ლეუშერი, ხოფური, მუხრა, ჭველფისწყალი და სხვა. რეგიონის კლიმატი ხასიათდება ნოტიო ჰავით, ცივი ზამთრით და გრილი ზაფხულით. ჰაერის საშუალო სადღეღამისო ტემპერატურა შეადგენს 7-9^0 C. ნალექების წლიური რაოდენობა 1000მმ-ს აჭარბებს. თოვლის საფარი აღინიშნება ნოემბრიდან აპრილამდე და მისი სიმაღლე 1-3 მეტრის ფარგლებში მერყეობს. 2012 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 8 544 კაცს შეადგენს. სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის 90%. მუნიციპალიტეტში სულ 59 დასახლებაა - 1 დაბა და 58 სოფელი, რომლებიც გაერთიანებული არიან 7 თემში. მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: სოფლის მეურნეობა (ძირითადად მეცხოველეობა, ასევე მოყავთ		

	სიმინდი, კარტოფილი). მუნიციპალიტეტში არის სხვადასხვა პროფილის მცირე საწარმოები. **სოფელი ტვიბი** მდებარეობს ლენტეხიდან 15 კმ-ში, მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 1140 მეტრზე. სოფლის მოსახლეობა შეადგენს 29 კომლს (76 კაცს). სოფელი ტვიბი შედის ჩოლურის თემში. მდინარე მუხრა, რომელიც ჩამოედინება სოფელ ტვიბში, არის მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი, მისი სიგრძე 10 კმ-ია. სათავეს იღებს მთა გოლდაშის სამხრეთ ფერდობიდან. მდინარის სათავეებში განვითარებულია კლდეზვავები, მეწყრული პროცესები. სელური ნაკადის წარმოქმნა ხდება ყოველთვის უხვი ნალექის დროს. მდ. მუხურაზე ამჟამად არსებული სახიდე გადასასვლელი სიგრძით 15 მეტრია, რომელიც მოწყობილია ლითონის მალებზე, ხის საფარით. ბურჯები აწყობილია ბეტონის შპალებით. მდინარე ადიდების პერიოდში გადადის სახიდე გადასასვლელის ორივე ბურჯთან. აქედან გამომდინარე, ჰიდროლოგიური გათვლების გათვალისწინებით, ახალი პროექტით გათვალისწინებულია ახალი სახიდე გადასასვლელის მოწყობა არსებული ხიდის ზედა მხარეს, სადაც ახალი მარცხენა ბურჯი მიებჯინება ძველ ბურჯს, ხოლო მარჯვენა ბურჯი განლაგდება არსებულის ზემოთ 25 მეტრზე. არსებული ხიდის დემონტაჟი არ არის გათვალისწინებული. **სოფელი მამი** მდებარეობს მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს. ზღვის დონიდან 1100 მ, ლენტეხიდან 16 კმ. სოფელში ცხოვრობს 29 კომლი (76 კაცი). ქვე-პროექტის ფარგლებში ხიდი უნდა მოეწყოს ლაულას ღელეს ხევზე, რომელიც მდებარეობს სოფლის საძოვრებსა და სათიბებთან მისასვლელი გზის დასაწყისში. ამჟამად, ხევი წვიმის პერიოდში ირეცხება და გზა გაუვალი ხდება. ლაულას ღელე უერთდება მდ. ცხენისწყალს. **სოფელი ჭველფი** მდებარეობს მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს. ზღვის დონიდან 1120 მ, ლენტეხიდან 18 კმ-ში. სოფელში ცხოვრობს 36 კაცი (109 კომლი). მდინარე ჭველფისწყალის ღელე სათავეს იღებს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე 2565 მ-ის სიმაღლეზე. მდ. ჭველფისწყლის ხეობა ძლიერ ეროზიული ხასიათისაა, გვხვდება გაფართოებული მონაკვეთები (მდ. ჭველფისწყლის ტერასები და

	გვერდითი შენაკადების გამოტანის კონუსები), ამ უბანზეა განსახლებული მოსახლეობა. მდ. ჭველფისწყლის ღელეს ყველა შენაკადი სელური ხასიათისაა და ინვითარებენ მძლავრ გამოზიდვის კონუსებს. ასევე, ხშირად ხდება სელური ნაკადების წარმოქმნა მდ. ჭველფისწყალში, უხვი ატმოსფერული ნალექების დროს. ამჟამად მდინარე ჭველფისწყლის ღელეზე არ არის სახიდე გადასასვლელი, რის გამოც სოფელ ჭველფში მისვლა წვიმის პერიოდში ვერ ხერხდება. **სოფელი დურაში** — მდებარეობს სვანეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ჩოლშურის (მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს. ლენტეხიდან დაშორებულია 14 კმ-ით. სოფელში ცხოვრობს 25 კომლი (83 კაცი). სახიდე გადასასვლელი მდებარეობს ზღვის დონიდან 1059 მეტრზე. მდინარე ჩოლშურას სიგრძეა 13 კმ. სათავეს იღებს მთა გოლდაშის სამხრეთ კალთებიდან - 1945 მეტრი სიმაღლიდან. ტერიტორიის რელიეფი დანაწევრებულია მრავალრიცხოვანი ხრამებით. სელური ნაკადების ფორმირება ხდება, როგორც ნაკადის სათავეებში, ასევე დროებით მოქმედ ხრამების ბორტებზეც. ტერიტორიაზე გვხვდება მეწყერ საშიში უბნები. მეწყრული გააქტიურების მიზეზია მდ. ჩოლშურას გვერდითი ეროზია და მეწყრული ფერდობული ნალექების გატენიანება ატმოსფერული ნალექებით და გრუნტის წყლებით. მდ. ჩოლშურას აუზში დაგროვილია მძლავრი კოლუვიურ-დელუვიური მასალა. ხევი ღრმად ჭრის აღნიშნულ დანალექებს. თავსხმა წვიმების დროს ხდება ორივე ფერდობიდან მეწყრული გადაადგილებები, რის შედეგადაც წარმოიქმნება დროებითი მცირე ტბები. გარკვეული დროის შემდეგ ხდება ამ ტბების გარღვევა და წარმოიქმნება მძლავრი სელური ნაკადი. ხიდამდე მისასვლელი გზა გადის ტყით დაფარულ ფერდობებს შორის. ტყის საფარში დომინანტობს რცხილა, წიფელი, გვხვდება წაბლი და სოჭი. ხეების მოჭრა ან ტოტების შეჭრა ხილვადობის გაუმჯობესებისათვის ქვე-პროექტით გათვალისწინებული არ არის. **დაბა ლენტეხი** - არის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს სვანეთი ქედის სამხრეთ კალთებზე, მდინარე ცხენისწყლისა და

	მისი შენაკადის ლასკადურას პირას, ზღვის დონიდან 760 მეტრზე, ქალაქი ქუთაისიდან 102 კმ-ის დაშორებით. დაბაში არის ადმინისტრაციული, კულტურის, განათლების და ჯანდაცვის დაწესებულებები, მცირე საწარმოები. დაბაში ცხოვრობს 551 კომლი (1439 კაცი). სარეაბილიტაციო ობიექტები (სანიაღვრე არხი, ღობეები) მდებარეობს დაბა ლენტეხის სხვადასხვა უბანში. „მჟავე წყლის“ ტერიტორია დაბის ცენტრიდან დაახლოებით 500 მეტრითაა დაცილებული, მდებარეობს მდინარე ლაკსადურას პირას, წარმოადგენს დაბის მოსახლეობის თავშეყრის ადგილს. სანიაღვრე არხისა და ლეგსურის ქუჩის გასწვრივ, რომლის რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი ქვე-პროექტის ფარგლებში, განლაგებულია ადმინისტრაციული შენობები და კერძო სახლები. ქვე-პროექტის ფარგლებში დეკორატიული ღობეები ეწყობა ეკლესიის წინ, თამარ მეფის ქუჩაზე კერძო მოსახლეობისათვის და სკოლისთვის, ასევე ლტოლვილთა სახლებთან. **სოფელი ხელედი** - მდებარეობს მდინარე ხელედულის (ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 850 მეტრზე, დაბა ლენტეხიდან 7 კმ-ში. სოფელში ცხოვრობს 162 კომლი (615 კაცი). ქვე-პროექტის ფარგლებში საყრდენი კედლები მოეწყობა კერძო საკუთრებაში არსებულ ეზოებთან, ასევე სკოლასთან. ამჟამად არსებული ყორექვის კედლები ამორტიზირებულია, თითქმის დაშლილია, რის გამოც წვიმის დროს იტბორება ეზოები. საყრდენი კედლების მოწყობა ხელს შეუწყობს შიდა სასოფლო გზების მდგომარეობის გაუმჯობესებას.
მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან	მანძილი უახლოეს ლიცენზირებულ ქვიშა-ხრეშის კარიერამდე ქვე-პროექტის განხორციელების ადგილებიდან არის 2-5 კმ.
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები	მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალ რისკიანი B კატეგორიის პროექტი. მუნიციპალური განვითარების ფონდს ქვე-პროექტი ოფიციალურად წარუდგინა ადგილობრივმა

	მუნიციპალიტეტმა დაფინანსების მოთხოვნის მიზნით და გააცნო მას პროექტის განხორციელების საჭიროება და პრიორიტეტულობა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას: (i) სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; (ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); (iii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა), ასევე, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისთვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა); (iv) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან; (v) სამშენებლო ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს უახლოეს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების (საჭიროების შემთხვევაში), ასფალტის/ბეტონის ქარხნების (საჭიროების შემთხვევაში) მუშაობისთვის საჭირო ნებართვების და ნარჩენების გატანის შესახებ შეთანხმების ასლები მშენებელმა კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს მგფ-ს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. აუცილებელია სახელმწიფო სტანდარტის (GOST), სამშენებლო ნორმებისა და წესების (SNIP) გათვალისწინება.
საჯარო კონსულტაცია	
სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	გარემოს დაცვის მართვის გეგმა განხილული იქნა ლენეტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან 2016 წლის 9 თებერვალს.
დანართები	

დანართი 1: სამშენებლო ტერიტორიის რუქა და სურათები დანართი 2: საკადასტრო ინფორმაცია დანართი 3: ხელშეკრულება და ნებართვები/შეთანხმებები (იქნება მოწოდებული) - საჭიროების მიხედვით დანართი 4. საჯარო კონსულტაციის ოქმი

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. შენობის რეაბილიტაცია	[x] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **A**
	B. ახალი მშენებლობა	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **A**
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **B**
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **C**
	E. მიწის შეძენა[1]	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **D**
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები[2]	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **E**
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **F**
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **G**
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[x] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **H**

[1] მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შეძენილ მიწაზე.

[2] ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
0. ზოგადი პირობები	ინფორმირება და უსაფრთხოება	(a) ინფორმაცია მომავალი სამუშაოების შესახებ მიწოდებული უნდა იქნეს ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის; (b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იქნეს დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით; (c) მოპოვებული უნდა იქნეს მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა; (d) კონტრაქტორი უნდა იქნეს თანახმა, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით; (e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში უნდა იქნეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები); (f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე; (g) ხიდების მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის უნდა იქნეს შერჩეული პერიოდი, როდესაც წყალდიდობებისა და ჭვარცოფების რისკი არ არის მაღალი; (h) მანქანა-მექანიზმებისა და სამშენებლო ბანაკების განლაგება არ უნდა მოხდეს მდინარის კალაპოტთან ახლოს: (i) სამუშაოებზე უნდა იქნენ დაშვებული მხოლოდ უსაფრთხოებასა და გარემოსდაცვით საკითხებზე შესაბამისად ინფორმირებული პირები; (j) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მუდმივი კომუნიკაცია შესაბამის უწყებებთან, რათა დროულად იქნეს მიღებული ინფორმაცია ამინდის პირობების შესაძლო გაუარესების შესახებ; (k) სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სამუშაოების განხორციელებისას გატარებული უნდა იქნეს შესაბამისი ღონისძიებები მოსწავლეებისა და მასწავლებლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სამუშაოების განხორციელების ადგილები უნდა იქნეს შეღობილი და შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებული, რათა არ მოხდეს ბავშვების შესვლა სამშენებლო ტერიტორიებზე.
A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები	ჰაერის ხარისხი	(a) დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები უნდა განთავსდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე და მოხდეს მისი წყლით დანამვა მტვრის შემცირების მიზნით. (b) კედლის დემონტაჟის ანდა პნევმატური ბურღვის დროს უნდა მოხდეს მტვრის გავრცელება უნდა შეიზღუდოს ტერიტორიის მუდმივი დანამვით ან/და მტვრისგან დამცავი ბადეების დამონტაჟებით. (c) სამშენებლო ნარჩენები არ უნდა ეყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე (ტროტუარები, გზები) მტვრის მინიმუმამდე დასაყვანად. (d) ობიექტზე არ უნდა მოხდეს სამშენებლო მასალების/ნარჩენების ღიად დაწვა

		(e) ობიექტებზე არ უნდა ჰქონდეს ადგილი სამშენებლო ტექნიკის უქმ სვლას. (f) სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტვრის წარმოქნის შემცირების მიზნით.
	ხმაური	(a) სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში (b) ექსპლუატაციის დროს გენერატორების ძრავის სახურავები, ჰაერის კომპრესორები და სხვა მექანიზირებული აღჭურვილობა დაიხურება, ხოლო აღჭურვილობა საცხოვრებელი უბნებიდან შეძლებისდაგვარად შორს უნდა განთავსდეს. (c) მანქანა–დანადგარები მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით უნდა მოძრაობდეს; (d) უნდა დადგინდეს ტრანსპორტი მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე; (e) უნდა მოხდეს მანქანა-დანადგარების სათანადო კონტროლი და მოვლა-პატრონობა; (f) არ უნდა ჰქონდეს ადგილი სამშენებლო და მძიმე ტექნიკის უქმ სვლას და გამოყენებული უნდა იქნეს მაყუჩები
	წყლის ხარისხი	(a) კონტრაქტორი ვალდებულია, რომ ორგანიზება გაუწიოს და გადახუროს მასალის საწყობები; აღნიშნული საწყობების გადახურვა უნდა მოხდეს წყალგაუმტარი მასალით, ძლიერი წვიმის და წყალდიდობის დროს გამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით, ასევე აუცილებელია ეროზიისა და ნალექების ისეთი მაკონტროლებელი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა მაგ:. თივის ზვინები და/ან ლამის შემოღობვები, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ნალექების სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გადასვლა, რამაც შესაძლოა ზედმეტად აამღვრიოს მახლობლად მდებარე მდინარეები და ნაკადულები; (b) კონტრაქტორი ვალდებულია დაგეგმოს ყველა სახის მიწის სამუშაოები და უზრუნველყოს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ნიადაგის ქვედა ფენის განთავსება ისე, რომ წყლის ჭარბი ჩამონადენის მოცულობა მინიმუმამდე იქნას შემცირებული (c) აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება ზეთის და საპოხი მასალების გაჟონვის ფაქტის არსებობის/არარსებობის დადგენის მიზნით. ყველა სახის მექანიზმების მოვლა-პატრონობა და მუშაობა უნდა მოხდეს ისე, რომ ყველა სახის გაჟონვა, ან დაღვრა, მინიმუმამდე იყოს შემცირებული; აუცილებელია ყოველდღიური შემოწმება (სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობის პროცედურების შესაბამისად), გაჟონვის, ან რაიმე სახის პრობლემის არ არსებობის დადასტურების მიზნით. სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობა, გასუფთავება, ცხიმისგან გაწმენდა განხორციელდება კონკრეტულ ადგილებში - ბეტონის საფუძველზე და არა დაყრილ გრუნტზე. აღნიშნული მონაკვეთები არ უნდა იყოს განთავსებული მდინარიდან 50 მ მანძილზე (d) საპოხი მასალები, საწვავი და გამხსნელები აუცილებელია განთავსდეს და გამოყენებულ იქნას მექანიზმების მომსახურების მიზნით სპეციალურად მოწყობილ ადგილზე. აუცილებელია, რომ ისეთი მასალები, როგორიცაა მაგ. სორბენტი, ქვიშა, ნახერხი, ბურბუშელა და ა.შ. ხელმისაწვდომი იყოს სამშენებლო ტერიტორიაზე (e) დაუშვებელია სველი ცემენტის და/ან ბეტონის ჩაშვება ნებისმიერ წყლის ობიექტში

	ნარჩენების მართვა	(a) ნარჩენების შეგროვება, მისი გადატანის მარშრუტებისა და განთავსების ადგილების განსაზღვრა უნდა მოხდეს მშენებლობისა და დემონტაჟის შემდეგ წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენების ტიპების იდენტიფიცირების შემდეგ (b) მინერალური და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას (c) სამშენებლო ნარჩენები უნდა იქნას შეგროვებული და გადატანილი წინასწარ შეთანხმებულ ადგილას (d) ტერიტორიიდან ნარჩენების გატანის თაობაზე აუცილებელია ჩანაწერების წარმოება (e) შესაძლებელია კონტრაქტორმა განმეორებით გამოიყენონ და გადაამუშაონ სათანადო მასალები (გარდა აზბესტისა)
	მასალების მიწოდება	a) მშენებლობისას უნდა იქნეს გამოყენებული მასალები მოწოდებული იმ არსებული ქარხნებიდან, კარიერებიდან და მაღაროებიდან, რომელთაც აქვთ მოქმედი ლიცენზიები. b) იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი მოინდომებს ახალი კარიერების გახსნას ის ვალდებულია მიიღოს აღნიშნული მასალების მოპოვების ლიცენზია c) უნდა მოხდეს კარიერებისა და მაღაროების პირვანდელ მდგომარეობის აღდგენა, მას შემდეგ რაც წიაღისეული მოპოვების სამუშაოების დასრულდება და ლიცენზიას ვადა გაუვა. d) მასალების გადაზიდვა არ უნდა მოხდეს პიკი საათებში. e) საავტომობილო მოძრაობისთვის განთავსდეს სიჩქარის მარეგულირებელი და გამაფრთხილებელი ნიშნები.
	გზის გასწვრივ არსებული ხეების დაცვა	a) უნდა მოხდეს გზის გასწვრივ არსებული ხეების დაცვა მოჭრისგან ან უნებლიე დაზიანებისგან. b) თხრილებისა და არხების გასუფთავება მცენარეული საფარისა და ბუჩქებისგან, ხოლო წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებაზე ადგილობრივი ხელისუფლებისგან წერილობითი თანხმობის მიღება.
H სატრანსპორტო მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო საქმიანობის პირდაპირი ან არაპირდაპირი სახიფათო ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე	(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და მოხდეს თანამშრომელთა გადამზადება, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან საქონლის გადაადგილების საათებში. ▪ აქტიური სატრანსპორტო მოძრაობის სწორი მართვა გადამზადებული კადრების მეშვეობით, უსაფრთხო და კომფორტული მოძრაობის უზრუნველსაყოფად.

		▪ იმ შემთხვევაში თუ სამშენებლო ტერიტორიაზე არსებული მაღაზიები და სხვა ტიპის დაწესებულებები იქნება ღია, მშენებლობის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადამიანთა უსაფრთხო და მუდმივი ხელმისაწვდომობა. ▪ მოეწყოს სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და სათანადო საგზაო ნიშნები ადგილობრივი კანონის რეგულაციის შესაბამისად.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	**რა** პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	**სად** ტარდება მონიტორინგი?	**როგორ** უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	**როდის** რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი?	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება, როგორც სამუშაო ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

ინერტული მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში. სამშენებლო მანქანა-დანადგარების რეცხვა	კარიერები	დოკუმენტების ა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია; სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	უნდა მოხდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, რათა არ დაბინძურდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული წყლის რესურსები.					
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრასპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე ,რომ თავიდან იქნას აცილებული	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოებისპერიოდში	სატრანსპორტოშემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.					
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხიელებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
საოპერაციო ფაზა						
რეაბილიტირებული საკანალიზაციო სისტემის მოვლა-პატრონობა	სარემონტო სამუშაოების დაგეგმვა ნაკლებად დატვირთულ საათებში და სათანადო ნიშნების განთავსება მიმდებარე ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო გზის დემარკაცია. ასფალტისა თუ სხვა ნარჩენების გატანა ტერიტორიიდან და მისი განთავსება	რეაბილიტირებული კოლექტორები	ინსპექტირება	საკანალიზაციო სისტემის ფუნქციონირების დროს	ადგილობრივი მოსახელობის სიმშვიდის დარღვევის მინიმუმადე დაყვანა მყარი ნარჩენების დაბინძურების თავიდან აცილება	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია

	წინასწარ შერჩეულ ადგილას.					

დანართი 1. რუქა და სურათები

სახიდე გადასასვლელები მოწყობის ადგილი სოფელ ტვიბში

სოფელ ტვიბში სახიდე გადასასვლელების გენგეგმა


გენგეგმა
ტრანსფორმ.
ხის ლოგი
ქვ. ლოგი
ქვ. ლოგი
ბეტონის
ბეტონის
ბეტონის
L-218
L-358
L-98
L-148
ბეტონის
ბეტონის
ბეტონის

სოფელი მამი-ედეყის მიმართულებთ საავტომობილო ხიდის მოწყობის ადგილი

სოფელი მამი-ედეყის მიმართულებთ საავტომობილო ხიდის გენგეგმა



გზა სოფ. მამი-ედეყის მიმართულებით

სოფელი ჭელეში, სახიდე გადასასვლელის ადგილი

სოფელი ჭელეში, სახიდე გადასასვლელის გენგეგმა



საავტომობილო ხიდი სოფელ დურაშში

ქუჩების კეთილმოწყობა დაბა ლენტეხში

„მჟავე წყალის“ ტერიტორია

სანიაღვრე არხი

არსებული ღობეები თამარ მეფის ქუჩაზე

ზედა ლეგსურის ქუჩა

სოფ. ხელედში შემაკავებელი ჯებირების მოწყობა. არსებული მდგომარეობა

დანართი 2: საკადასტრო ინფორმაცია

N 87.04.32.103

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

გამცემის რეგისტრაციის N 882015508093 - 07/09/2015 17:42:22	მიმღების ნომერი 02/10/2015 17:38:16

საკუთრების განყოფილება

ნომერი	სექციის	კოდი	ნაკვეთი
87	04	32	103

ნაკვეთის საკუთრების ფორმა: საკუთრება
ნაკვეთის ფართობი: 3462.00 კვ.მ
ნაკვეთის წინა ნომერი:
ზერგი ნაკვეთის ნომერი:
ზერგი ნაკვეთის ფართობი: 44.34

მესაკუთრის განყოფილება

ინფორმაცია

უფლებრივი

[illegible]

[illegible]

[illegible] [illegible] [illegible] [illegible]

[illegible]

[illegible] 97 04 32 003

[illegible] 82015508093

[illegible] 9462 [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] 30.09.15



[illegible]

დანართი 3: წერილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან

საქართველო
ლენტეხის
მუნიციპალიტეტის
გამგეობა

GEORGIA
MUNICIPALITY
ADMINISTRATION OF
LENTEKHI

E_mail: Lentekhi@yahoo.com

№-03-1175 «9» — 7 — 2015წ

საქართველოს მუნიციპალური განვითარების
ფონდის აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ ჯონსონ ბურკეულიძეს

იცნობი მწერლის 5 ოქტომბრის #-2448ზ წერილის პასუხად ვაცნობებთ, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის „მყვინ წყლის" ტერიტორიაზე სვანური კოშკი აშენებულია 2009 წელს და არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

„მყვინ წყლის" ტერიტორიაზე პროექტით გათვალისწინებული ტუალეტის მერიადულად ასფალტირების მანქანით განმტვრევის თაობაზე ვადარიდებთ ლენტეხის მუნიციპალიტეტი.

ამასთან ერთად გვეზიარებით ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალეგში მცხოვრებ ამ პრობლემურ წერილებთან თანხმობა, რომელიც კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზეა ვადის გზის მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოები.

დანართი „ 10 „ ფურცლად.

პატივისცემით,

ლენტეხის მუნიციპალიტეტის

გამგებელი: ა. ჯაბურიძე

03-1175
9-7-15

დანართი 4. საჯარო განხილვის ოქმი

11 თებერვალი, 2015 წელი

ლენტეხის მუნიციპალიტეტი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი (RMIDP II)

„ხიდების რეაბილიტაცია და მშენებლობა ლენტეხის მუნიციპალიტეტში“

ქვე-პროექტის გარემოს დაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

2016 წლის 9 თებერვალს, ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დარბაზში გაიმართა ქვე-პროექტის „ხიდების რეაბილიტაცია და მშენებლობა ლენტეხის მუნიციპალიტეტში“ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენისა და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი: ამირან ჭუმბურიძე

ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს და თემების წარმომადგენლები: გაბო ბაბლუანი, ავთანდილ ონიანი, ბენდელიანი ლაშა, გუგავა ანა, ჩანქსელიანი ტახუ, ქარდავა გოჩა, ჩანქსელიანი ლევანი, სოსო მუსელიანი, ბაჩუკი გაზდელიანი, ლევან ლიპარტელიანი, მარეხი აფაქიძე, ბესიკ მუკბანიანი, ნატო გუგავა, გრიგოლ ლიპარტელიანი, სოსო მუკბანიანი.

გაზეთ „სვანეთის“ რედაქტორი - ბიძინა მუსელიანი,

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები: ანა რუხაძე - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი; ნინიკო ისაკაძე- გარემოს დაცვისა და განსახლების სპეციალისტი.

შეხვედრა გახსნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ამირან ჭუმბურიძემ და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიჩნეულია, როგორც პრიორიტეტული

და განხილულია მათთან ერთად თემების რწმუნებულების მიერ. ქვე-პროექტი განხორციელდება მუნიციპალიტეტის 15%-იანი თანადაფინანსებით.

ნინიკო ისაკაძემ შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდის, შეხვედრის მიზნებისა და წარმოდგენილი ქვე-პროექტის შესახებ. მან განიხილა ქვე-პროექტისათვის მომზადებული გარემოს დაცვის მართვის გეგმა და მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტებისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებებისას მოსალოდნელი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან აცილების ან შერბილებისთვის. მან აღნიშნა, რომ ქვე-პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას და/ან რამე სახის შეთანხმებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, ამიტომ ყველა პროცედურა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამის უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტისთვის მომზადებული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად.

ნინიკო ისაკაძემ ისაუბრა გარემოს დაცვის მართვის გეგმის შინაარსსა და სტრუქტურაზე. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მართვის გეგმით განსაზღვრული, სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად, შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასევე, მიმოიხილა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და შესაბამისი ანგარიშგების პროცედურები და ამ პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი მხარეები.

ნინიკო ისაკაძემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
როდის არის შესაძლებელი მუნიციპალური განვითარების ფონდში პროექტების წარდგენა დაფინანსების მიღების მიზნით?	ფონდში პროექტის წარსადგენად ვადები შეზღუდული არ არის. მუნიციპალიტეტების გამგეობებს შეუძლიათ პროექტების წარმოდგენა, რომლებიც შეესაბამება ფონდის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს.
რა არის საჭირო ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებისთვის?	ფონდს აქვს მსგავსი პროექტების განხორცილების პრაქტიკა. დაფინანსების მისაღებად საჭიროა კვალიფიციური სპეციალისტების მიერ მომზადებული პროექტი და თანხმობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსგან. თუმცა, რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტი არ ითვალისწინებს მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელებას, ხოლო რეგიონული განვითარების პროგრამები კი ამ ეტაპზე არ ხორციელდება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში.
ქვე-პროექტის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს სოფელი მამიდან ედიყის მიმართულებით არსებული გრუნტის გზაზე საავტომობილო ხიდის მოწყობა, რომლის სიგანე იქნება 3,5 მეტრი, თუმცა ხიდის გაბარიტებიდან გამომდინარე ვერ მოხდება მძიმე ტექნიკის გადაადგილება, რისი საჭიროებაც არსებობს. შესაძლებელია თუ არა ცვლილების შეტანა პროექტის დიზაინში ხიდის გაფართოვების მიზნით?	საჭიროებიდან გამომდინარე პროექტს კორექტირება შესაძლებელია. საკითხი შესწავლილი იქნება მგფ-ისა და ზედამხედველი კომპანიის სპეციალისტების მიერ, ასევე შეთანხმდება მსოფლიო ბანკთან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხიდის მიმდებარედ არსებობს ალტერნატიული გზა, რომელიც გააგრძელებს ფუნქციონირებას ხიდის მშენებლობის დასრულების შემდეგ, რომელზეც შესაძლებელია იმოძრაოს მძიმე ტექნიკამ საჭიროებიდან გამომდინარე.

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება ქვე-პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმართ და გამოთქვეს იმედი, რომ სამშენებლო სამუშაოები დროულად დასრულდება.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის სპეციალისტის ნინიკო ისაკაძის მიერ.

11 თებერვალი, 2015

შეხვედრის ფოტომასალა:

დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი:

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განკითარების მეორე პროექტი

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ხიდების რეაბილიტაცია და მშენებლობა

ქვე პროექტების

გარემოს დაცვის მართვის გეგმების საჯარო განხილვა

9 თებერვალი 2016 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	[illegible]	[illegible]	595 08 51 01	[illegible]
2.	[illegible]	[illegible]	599 85 76 90	[illegible]
3.	[illegible]	[illegible]	595 08 52 29	[illegible]
4.	[illegible]	[illegible]	591 87-23-64	[illegible]
5.	[illegible]	[illegible]	599-85-27-02	[illegible]
6.	[illegible]	[illegible]	595 50 90 25	[illegible]
7.	[illegible]	[illegible]	595 37 11 08	[illegible]

8.	[illegible]	[illegible]	595 085 234	
9.	[illegible]	[illegible]	595221615	
10.	[illegible]	[illegible]	577381090	
11.	[illegible]	[illegible]	595-08-51-00	
12.	[illegible]	[illegible]	599 11 86 10	
13.	[illegible]	[illegible]	595 85-27-57	
14.	[illegible]	[illegible]	591 81-28-01	
15.	[illegible]	[illegible]	599-85 27-09	
16.	[illegible]	[illegible]	599 977 451	
17.	[illegible]	[illegible]	595085205	
18.				